სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება №421

(ოქმი №384)

თბილისი 2018 წლის 22 ივნისი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115 – 121 მუხლების (საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, თავი IX) თანახმად,

1. მიღებული იქნას სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტი თანდართული სახით;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით;
3. წინამდებარე გადაწყვეტილება და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტი განთავსდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე https://1tv.ge/organizatsia/

4. ინფორმაცია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ) განთავსდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე https://1tv.ge/organizatsia/

დანართი:
1. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტი (11 ფურცლად);
2. ინფორმაცია 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ).

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

ქეთევან მსხილაძე

ნინო-ნინია კაკაბაძე

გიორგი ნიჟარაძე

იზაბელა ოსიპოვა

ირაკლი პაპავა

ზაზა შათირიშვილი

გიორგი იაკობაშვილი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2018-2021წლების პროგრამული პრიორიტეტები

პროექტი

1. შესავალი

1.1. პროგრამული პრიორიტეტების სამართლებრივი სტატუსი და სტრუქტურა

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით, „კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისგან“(მუხლი 17.6; ძალაში შევა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ).

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი საზოგადოებრივ მაუწყებელსავალდებულებს, მიაწოდოს საზოგადოებას პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამები (მუხლი 15). კანონის მე-16 მუხლში მოცემულია საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებები კონკრეტული ჩამონათვალის სახით.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულებისას საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელმძღვანელობს პროგრამული პრიორიტეტებით - მაუწყებლის ნორმატიული დოკუმენტით, რომელსაც ქმნის და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო (მუხლი 20). პროგრამული პრიორიტეტები მიიღება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

პროგრამული პრიორიტეტები, რომლებიც სამეურვეო საბჭომ 2015 წელს შეიმუშავა, არეგულირებდა მაუწყებლის 2015-2016 წლების საქმიანობას. შემდგომში მათი მოქმედება 2018 წლის 20 აგვისტომდე გაგრძელდა. ახალი პროგრამული პრიორიტეტები, რომლებიც ამ დოკუმენტით განისაზღვრა, განკუთვნილია სამწლიანი პერიოდისთვის და მოიცავს 2018-2021წლებს, თუმცა ამ სამი წლის განმავლობაში მოსალოდნელია დოკუმენტში გარკვეული ცვლილებების შეტანა მისი შემდგომი განვრცობის მიზნით.

1.2. მაუწყებლის ზოგადი ორიენტირები და და მართვის ამოცანები.

დამოუკიდებელი, პოლიტიკური და კომერციული გავლენებისგან თავისუფალი მაუწყებელი ვალდებულია, თავისი პროგრამირება მომხმარებელზე ორიენტირებით ააგოს.ამდენად, მაუწყებლის სტრატეგიული მიზანია, მიაწოდოს საზოგადოებას ის მედიამომსახურება და პროდუქცია, რაც მომხმარებლებს და მთლიანად საზოგადოებას პირველ რიგში სჭირდება და ვერ ღებულობს სხვა მედია საშუალებებით.

მაუწყებელი უნდა ისწრაფოდეს, გახდეს გამორჩეული მედიასაშუალება, რომელიც ავითარებს და ამკვიდრებს საკუთარ მიდგომებს დამომსახურებისმაღალ სტანდარტებს, იზიდავს მომხმარებლებს ინოვაციის, სიახლის, წინსვლის ხელშეწყობითა და წარმოჩენით. მაუწყებელი უნდა ისწრაფოდეს, რომ წარმოებული თუ შესყიდული ნებისმიერი პროდუქტისაუკეთესო იყოს შესაბამისჟანრში, ხოლო თითოეული პლატფორმისპროდუქციის მთელი სპექტრი გამოირჩეოდეს კონკურენტებისგან.

ახალი და მიმდინარე ამბების შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებისადა გასართობი პროდუქციის გარდა მაუწყებელი აწარმოებს ისეთ პროდუქციას, რომელიც საზოგადოებისთვის სასარგებლო და ფასეული რჩება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამდენად, საზოგადოების საჭიროებების ოპტიმალურად მომსახურების მიზნით, მაუწყებელმა სათანადო ბალანსი უნდა დაიცვას პროდუქციის შემდეგ სამ კატეგორიას შორის:

ა. ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენები - ამ პროდუქციას დღესდღეობით ყველაზე მაღალი წილი უკავია მაუწყებლის ბიუჯეტში;

ბ. კულტურა, შემეცნება, განათლება, ისტორია, სპორტი და ჯანსაღი ცხოვრების წესი - ამ ტიპის პროდუქციის შეთავაზება მაუწყებლის მიერ დღესდღეობით არ შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს როგორც პროდუქციის რაოდენობით, ასევე მისი მრავალფეროვნებით;

გ. ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის განკუთვნილი პროდუქცია - ყველაზე გრძელვადიანი ინვესტიციაა საზოგადოების განვითარებაში.მაუწყებელმაამ ტიპის პროდუქციის წარმოებაარა მარტო უნდა ზარდოს, არამედ ამავდროულად იზრუნოს მაუწყებლის შიგნით შესაბამისი კომპეტენციების შექმნა-განვითარებაზე.

შინაარსობრივ სრულყოფასთან ერთად მენეჯმენტმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ პირველი არხის სიგნალი ხელმისაწვდომი გახდეს მაქსიმალურად ბევრი მომხმარებლისთვის. ამასთან, მაქსიმალურად უნდა განვითარდეს სხვა

პლატფორმები (რადიო, ვები, სხვა მულტიმედიური პლატფორმები), რომლებითაც მაუწყებელი მომხმარებელს საკუთარ პროდუქციას მიაწვდის. ასევე უნდა შესრულდეს ახალ შენობაში გადასვლის და ტექნიკური გადაიარაღების გეგმა; დასრულდეს სტრუქტურული რეფორმა და მართვის ახალი მეთოდების დანერგვა, მათ შორის ახალი ნიუსრუმის სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელება და მულტიმედიური წარმოების პროცესის აგება. ორგანიზაციის სწორმა მართვამ, მათ შორის შიდა სტანდარტების დანერგვამ შედეგად უნდა მოიტანოს კორპორატიული კლიმატის გაუმჯობესება, მაუწყებლის შემოქმედებითი პოტენციალის გაძლიერება, დასაქმებულთა პროფესიონალიზმის და კმაყოფილების მაჩვენებლების ზრდა.

შინაარსობრივ პარამეტრებთან ერთად, სამეურვეო საბჭო ყოველწლიურად შეაფასებს მენეჯმენტის საქმიანობას მაუწყებლის ორგანიზაციული სრულყოფის, საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის და სხვა ამოცანების მიღწევის თვალსაზრისით, რისთვისაც გამოიყენებს შეფასების სხვადასხვა საშუალებას.

2. მაუწყებლის ძირითადი სამოქმედო პრიორიტეტები

მომდევნო 3 წლის განმავლობაში სამეურვეო საბჭო ბიუჯეტის დამტკიცებისას და სხვა გადაწყვეტილებების მიღებისას პირველ რიგში იხელმძღვანელებს შემდეგი სტრატეგიული მიზნებით:

1. საყოველთაო წვდომა: მაუწყებლის ყველა პლატფორმისა და პროდუქციის მომხმარებელთა რაოდენობრივი ზრდის უზრუნველყოფა როგორც კომბინირებულ მაჩვენებლებში (სატელევიზო,რადიო და მულტიმედიური არხები), ასევეცალკე, პირველი არხის მაყურებლების მაჩვენებლებში.

2. საყოველთაო მომსახურება: მრავალფეროვანიაუდიტორიის, მათ შორის სპეციფიკური საჭიროებების მქონე აუდიტორიის მომსახურება.ამ მიზნით პროდუქცია და ხარჯებიუნდა განაწილდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისმომსახურებისთვის, მათ შორისეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, შშმ პირების, რეგიონის მოსახლეობის მომსახურებისთვის.

3. თვალთახედვების მრავალფეროვნება: საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა მსოფლმხედველობის, მოსაზრების, ფასეულობის და საჭიროების ასახვა და წარმოჩენა.

4.საგანმანათლებლო, კულტურული, შემეცნებითი, ანალიტიკური პროდუქციის წარმოების და ხარისხის ზრდა. ამ პროდუქციის ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისგან შესყიდვა;

5.ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის (საგანმანათლებლო, გასართობი, სხვა) პროდუქციისწარმოების და ხარისხის ზრდა. ამ პროდუქციის ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისგან შესყიდვა. ამავე დროს, 2018 წლის განმავლობაში მაუწყებელმა სპეციალისტების თანამონაწილეობით უნდა შეიმუშაოს ამგვარი პროდუქციის წარმოების და შესაბამის პლატფორმებზე განთავსების სტრატეგიული გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის განხორციელება;

6. მულტიმედიური მეთოდების ეფექტიანად გამოყენებაპროდუქციის წარმოებისა და გავრცელებისთვის; ალტერნატიული პლატფორმებისაუდიტორიის და მათ მიერ გავრცელებული პროდუქციის ოდენობის და მრავალფეროვნებისზრდა;

7.პროდუქციის ხარისხის, მრავალფეროვნების და ზეგავლენის წლიდან წლამდე ზრდა, მათ შორის, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის პროდუქციის სანდოობის ზრდის უზრუნველყოფა.

3. მაუწყებლის შინაარსობრივი პრიორიტეტები

3.1 საზოგადოებისწინაშეხელისუფლებისანგარიშვალდებულებისუზრუნველსაყოფად, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის პროდუქციამ მოქალაქეებსსაშუალებაუნდამისცეს,გაეცნონდამკაფიოწარმოდგენაშეიქმნანსაშინაოდასაგარეოპოლიტიკისსაკითხებზე,საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლოხელისუფლებების, ადგილობრივითვითმმართველობებისმუშაობაზე, ქვეყნისათვისმნიშვნელოვანშიდაპოლიტიკურპროცესებზე, ძირითადორიენტირებზედაგამოწვევებზე, იმსაერთაშორისომოვლენებსადაორგანიზაციებზე, რომლებიცსაქართველოშიმიმდინარეპროცესებთანკავშირშიაანგავლენასახდენსმასზე.

პროდუქციაში აისახოს: ა) სოციალურიპრობლემები, განსაკუთრებულიაქცენტითმოწყვლადიჯგუფებისპრობლემებსადასაჭიროებებზე) რიგითიმოქალაქისპრობლემები;გ) საქართველოსევროატლანტიკურინტეგრაციასთანდაკავშირებულისაკითხები/ პროცესები: ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობები, ქვეყნის განვითარებაზე

დასავლეთთან ინტეგრაციის დადებითი გავლენა, ასოცირების ხელშეკრულებით მიღებული შესაძლებლობები, სხვა.; დ) საქართველოშიმიმდინარეპოლიტიკურიპროცესები;ე) ტერიტორიული მთლიანობის საკითხები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები, ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა მათ შორის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული ვითარება;ვ) საქართველოსშიდადასაგარეოპოლიტიკასთანდაკავშირებული საკითხები და პროცესები; ზ) უცხოეთშიმიმდინარე მოვლენები; თ) საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის სტაბილურობაზე და ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე; ი)საქართველოს რეგიონებში მიმდინარე სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების ამსახველი პროცესები; კ) ეროვნული უცმირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის აქტუალური საკითხები.

3.2. საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი ვალდებულებაა ჟურნალისტურიგამოძიება. ამ ჟანრის შემდგომი განვითარებისა და პროდუქციის გაუმჯობესებისთვისშეიქმნას ჟურნალისტური გამოძიების პლატფორმა გარე წარმოებისთვის. 2018 წლის ბოლომდე მენეჯმენტმა შეიმუშაოს ამპლატფორმის კონცეფცია, საგამოძიებო პროდუქციის გარე წარმოების და შესაბამის პლატფორმებზე განთავსების გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის განხორციელება.

ჟურნალისტური გამოძიება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდგახმაურებულიამბებით/შემთხვევებით, არამედუნდა იკვლევდეს ისეთ თემებს, რომლებიცკანონისუზენაესობას, ხელისუფლებისანგარიშვალდებულებას, ადამიანისუფლებებისდარღვევებსდასახელმწიფოებრივადდასაზოგადოებრივ ად აქტუალურ სხვასაკითხებსეხება. ჟურნალისტური გამოძიება უნდა გახდეს საჯარო სექტორზე საზოგადოებრივი/სამოქალაქო მეთვალყურეობისა და მონიტორინგის ერთ-ერთი ძლიერი მექანიზმი.

3.3. ადამიანის უფლებების შესახებ მედიაპროდუქტების წარმოება და შეძენა, რომლებიც ორიენტირებული იქნება ადამიანის უფლებათა სწავლებაზე, პოპულარიზებაზე, საზოგადოების ინფორმირებაზესაერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების და მდგომარეობის შესახებ;მედიაპროდუქტის მომზადება კონკრეტული უფლებადარღვევების შესახებ, რომლის მიზანიც იქნება საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სისტემის გაუმჯობესება

და მსოფლიოს საუკეთესო ანალოგებთან შესაბამისობაში მოყვანა. მედიაპროდუქტის შექმნისას ყურადღება გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შრომითი უფლებები, უსაფრთხოების ნორმები და მომხმარებელთა უფლებები.

ადამიანის უფლებების შესახებ მედიაპროდუქტის წარმოების და შეძენის დროს უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოების დაუცველი ჯგუფების მომსახურება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის უმთავრესი ვალდებულებაა აღმოაჩინოს, დაინახოს და დაგვანახოს დღეს არსებული ყველაზე მტკივნეული პრობლემები, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და მუდმივად ეძებდეს ამ პრობლემების მოგვარების გზებს, ასახავდეს მრავალფეროვნებას, უზრუნველყოფდეს მოსახლეობის ინფორმირებას და განათლებას ამ მიმართულებით. მიზანშეწონილია, ზემოხსენებულ თემებზე გადაცემების მომზადების პროცესში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ადამიანის უფლებადამცველები, ასევე თემის წევრები.

3.4. საქართველოში არსებული რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების კულტურის, ტრადიციების, ფასეულობების, ყოფის, საჭიროებების, პრობლემების, წარმატებების, მნიშნელოვანი თარიღებისა და სხვა მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხების ამსახველი მედიაპროდუქტის მომზადება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2017 წელს მიღებული საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო ინტეგრაციის, ეთნოსთაშორისი და რელიგიათაშორისი ურთიერთობების ხელშეწყობის მედია სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესაბამისად.
უზრუნველყოფილი იქნეს ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელთა ჩართულობა პროდუქციის მომზადების პროცესში და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებულ გადაცემებში მათი სტუმრის რანგში მოწვევა.

3.5. ქართული დოკუმენტური ფილმების შიდა და გარე წარმოების ზრდა 2019 წლიდან. 2018 წლის ბოლომდე შემუშავდეს ამ მიმართულების განვითარების გეგმა, კონტროლისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები. მენეჯმენტმა, დარგის სპეციალისტების თანამონაწილეობით შეიმუშაოს ქართული დოკუმენტალისტიკის განვითარების პლატფორმის კონცეფცია (შიდა და გარე წარმოების მიმართულებით).საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სეზონის მანძილზე გარკვეული პერიოდულობით შესთავაზოს მაყურებელს ახალი ქართული დოკუმენტური ფილმი.

3.6.მოზარდების მონაწილეობით მედიაპროდუქტის მომზადება მათთვის აქტუალურ და საინტერესო თემებზე.

3.7. მედიაპროდუქტის მომზადებაეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსების და გარემოსდაცვის საკითხებზე.

3.8. სპორტული გადაცემების მომზადება, შესყიდვა და ტრანსლირება.

3.9. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება.

4. პროდუქციის მიწოდების გზები, პლატფორმები

წინამდებარე საპროგრამო პრიორიტეტების შესასრულებლად მენეჯმენტმა ყოველწლიურად შეიმუშაოს და წარმოადგინოს სამაუწყებლო/ საკომუნიკაციო პლატფორმების სტრატეგია.

2019 წელს მენეჯმენტმა უნდა შეიმუშაოს და საბჭოს წარუდგინოს საზოგადოებრივი მაუწყებლის კონცეფცია მისი პლატფორმების, მათ შორის მეორე არხის განვითარების შესახებ.

5. საქმიანობის შეფასების საზომები

მაუწყებლის საქმიანობა ფასდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ;შეფასებები აგრეთვე შეიძლება კეთდებოდეს წლის განმავლობაში დაგამოიყენებოდეს რეკომენდაციებისა და მოთხოვნების ჩამოსაყალიბებლად.

მაუწყებლის საქმიანობის შეფასებისთვის გამოყენებული იქნება სხვადასხვა საშუალება, მათ შორის რაოდენობრივი მონაცემები, კვლევები, სხვ.

<u>მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა</u>

	2017 წლის	2018 წლის	2017 წლის	2018 წლის	2017	2018
სატელევიზიო არხები						
რადიო						
ინტერნეტი						
სხვა						
ჯამური						

<u>საყოველთაო მომსახურება</u>

	% ფიფლმეტრებში 1 არხი	% სხვა პლატფორმები	აღქმა სოციოლოგიური კვლევით	გადანაწილება პროდუქციის რაოდენობა	გადანაწილება დანახარჯები, რესურსები
ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები					
შშმ პირები					
რეგიონები					

<u>საგანმანათლებლო, კულტურული, შემეცნებითი, ანალიტიკური</u>

	2017 წლის დანახარჯები	2018 წლის დანახარჯები	2017 წლის პროდუქცია	2018 წლის პროდუქცია	2017 წვდომა	2018 წვდომა
საკუთარი						
ადგილობრივი						
უცხოური						

<u>პროდუქცია ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის</u>

	2017 წლის დანახარჯები	2018 წლის დანახარჯები	2017 წლის პროდუქცია	2018 წლის პროდუქცია	2017 წვდომა	2018 წვდომა
საკუთარი						
ადგილობრივი						
უცხოური						

<u>მულტიმედიური სამაუწყებლო პლატფორმები</u>

	2017 წლის დანახარჯები	2018 წლის დანახარჯები	2017 წლის პროდუქცია	2018 წლის პროდუქცია	2017 წვდომა	2018 წვდომა
ვებვერდი						
აპლიკაცია						

სხვა						

ხარისხი, მრავალფეროვნება და ზეგავლენა

შეფასების ეს სამი პარამეტრი იზომება ჯამური ქულით, რომელიც ეყრდნობა ქვემოთ გაწერილი ასპექტების შეფასებას (იხ. ქვემოთ *„ზეგავლენა, მრავალფეროვნება და ხარისხი“*)

ხარისხი და მრავალფეროვნება

	2018 წლის შეფასება ხარისხი	2019 წლის შეფასება ხარისხი	2020 წლის შეფასება ხარისხი	2018 წლის შეფასება მრავალფეროვნება	2019 წლის შეფასება მრავალფეროვნება	2020 წლის შეფასება მრავლაფეროვნება
ახალი ამბები...						
კულტურა...						
საბავშვო						

ზეგავლენა

	2018 წლის შეფასება ზეგავლენა	2019 წლის შეფასება ზეგავლენა	2020 წლის შეფასება ზეგავლენა
ახალი ამბები...			
კულტურა....			
საბავშვო			

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუკი შეფასებისას გამოყენებული იქნა კვლევის სხვადასხვა მეთოდი (მაგ. რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა), რომელთა შედეგების პირდაპირ შეჯამება შეუძლებელია, ცხრილში გაიზრდება სვეტების რაოდენობა და ყველა შეფასება შევა ცალ-ცალკე.ასევე წლების მიხედვით მოხდება მოცემული ცხრილების კორექტირება.

უფრო ვიწრო კატეგორიების -ქვეჟანრების ან გადაცემების შეფასებისთვის შეიქმნება ცალკე ცხრილები ამ კატეგორიების სპეციფიკის შესაბამისად.

ზეგავლენა, მრავალფეროვნება და ხარისხი

ქვემოთ ჩამოთვლილი შეფასების კრიტერიუმები გამოყენებული იქნება თითოეული ჟანრისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით.

ზეგავლენა

- მაყურებელს ეხმარება, გაერკვეს ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებსა და საკითხებში
- მაყურებელს უქმნისშესაძლებლობას, იფიქროს მოვლენებზე ახალი და განსხვავებული კუთხით
- მაყურებელს უქმნის მოტივაციას, ჩაერთოს სხვადასხვა მოვლენებსა და აქტივობაში
- მაუწყებელი ქმნის ისეთ პროგრამებს, სიუჟეტებს, რომლებზედაც მაყურებლებს შემდგომ ემთმანეთთან საუბარი მოუნდებათ
- მაუწყებელი ქმნის ისეთ პროგრამებს, სიუჟეტებს, რომლებიც იწვევს გამოხმაურებას, რეაგირებას, დღის წესრიგის ცვლილებას სამოქალაქო საზოგადოებაში ან პოლიტიკაში
- მაუწყებელი არ ცდილობს მაყურებლით ფარულ მანიპულირებას რაიმე სპეციფიკური პოლიტიკური ან კომერციული ინტერესების სასარგებლოდ
- სტიმულს აძლევს მომხმარებელს, აღიქვას რეალობა ახალი და განსხვავებული კუთხით.
- სტიმულს აძლევს მომხმარებელს, შეცვალოს საკუთარი ცხოვრება უკეთესობისკენ.
- პასუხობს მომხმარებლის ინტერესებს და საჭიროებებს.
- წარმოაჩენს და პოპულარიზაციას უწევს საქართველოს თვითმყოფად კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებას.
- პოპულარიზაციას უწევს მსოფლიო კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებას.

მრავალფეროვნება

- წარმოაჩენს მრავალფეროვან მსოფლმხედველობებს, პოლიტიკურ თვალთახედვებს და ინტერესებს
- სათანადო ყურადღებას უთმობს საზოგადოების სხვადასხვა კლასტერებისთვის მნიშვნელოვან თემებს, პრობლემებს, ინტერესებს
- აძლევს გამოხატვის შესაძლებლობას იმ ჯგუფებს, რომელთა ხმა არ ისმის მედია გარემოში, მათ შორის რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებს, შშმ პირებს, რეგიონის მოსახლეობას
- კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ცრურწმენებს, სტერეოტიპებს

- წარმოაჩენს მრავალფეროვან კულტურას და თვალთახედვებს, ადგილობრივ და მსოფლიო ტენდენციებს
- აძლევს გამოხატვის შესაძლებლობას სხვადასხვა გემოვნების მქონე ჯგუფებს, რომელთა ხმა არ ისმის მედია გარემოში; ასახავს ახალ მიმდინარეობებს

ხარისხი

- აშუქებს მოვლენებს ოპერატიულად, მიუკერძოებლად და ობიექტურად
- აშუქებს მოვლენებს დაზუსტებულად, სანდო წყაროებზე დაყრდნობით
- საკითხებს გადმოსცემს გასაგები ენით
- მოიძიებს და წარმოაჩენს ექსკლუზიურ და აქტუალურ ინფორმაციას, თემებს
- წარმოაჩენს მოვლენებს ახლებური და განსხვავებული კუთხით
- უზრუნველყოფს დისკუსიებისა და დებატების ისეთ ფორმატს, სადაც შესაძლებელია რაციონალური აზრის ჩამოყალიბება

სიღრმისეულობა

- მაყურებელს ეხმარება დაინახოს რეალობა, აზრი გამოიტანოს მიმდინარე მოვლენებიდან
- აჩვენებს მაყურებელს თუ როგორ აისახება (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ) მოვლენები მასზე
- აანალიზებს, არის თუ არა (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ) მოვლენები ისეთი, როგორიც ჩანს
- ხსნის, თუ რატომ არის (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ) მოვლენები ისეთი, როგორიც არის
- ანახებს მომხმარებელს თუ როგორ აისახება (კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ) მოვლენები მასზე
- სიღრმისეულად აანალიზებს მოვლენებს (კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ) და წარმოაჩენს თუ როგორ ეხება პიროვნებას, საზოგადოებას და სამყაროს.

გამორჩეულობა

- ქმნის მუდმივ ფასეულობებზე ორიენტირებულ პროდუქციას, რომელიც არ არის წარმავალ, ამ წუთიერ რეიტინგზე ორიენტირებული
- არის ექსპერიმენტების და ინოვაციების ადგილი

- პროდუქცია არის ჟანრობრივად მრავალფეროვანი
- იყენებს სხვა არხებისგან განსახვავებულ შემოქმედებით მიდგომას მოვლენების და საკითხების გაშუქების დროს
- გამოირჩევა მაღალი სარედაქციო სტანდარტით.

ინფორმაცია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2018-2021 წლების

პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო

ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

(ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ)

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ 2018 წლის 22 ივნისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" (მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას ქ. #68) დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16, მე-20 და 30-ე მუხლებიდან გამომდინარე, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების საფუძველზე, საზოგადოებას საჯარო განხილვისათვის წარუდგენს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტს (https://1tv.ge/organizatsia/) ვებ-გვერდზე განთავსებულია ასევე აღნიშნულ საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

პროგრამული პრიორიტეტების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წერილობით წარმოადგინოთ სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" (მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #68) 20 სამუშაო დღის განმავლობაში (2018 წლის 25 ივნისიდან 2018 წლის 20 ივლისის ჩათვლით).

პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს სხდომა ჩატარდება არაუგვიანეს 2018 წლის 20 აგვისტოს, რომლის თაობაზეც საზოგადოება დამატებით იქნება ინფორმირებული. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს აღნიშნული სხდომის ჩატარებიდან/დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.